ცხოვრების მიზნად სიმართლე გქონდეს და სიყვარული მოძმეთა ვალად!

# 9 (10047) 10 marti • 2014 w.

# ალიონი

gazeTi gamodis
1931 wlis 5 ianvridan

საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი www.alion.ge

ყოველკვირეული გამოშვება
ფასი 30 თეთრი

## გუბერნატორმა დაღუპული გმირების დედებს დღესასწაულები მიულოცა

გურიის გუბერნატორმა გიორგი ჩხაიძემ და მისმა პირველმა მოადგილემ, მერაბ ჭანუყვაძემ 8 მარტი, ქალთა საერთაშორისო დღე მიულოცეს და საჩუქრები გადასცეს ლანჩხუთის, ოზურგეთისა და ჩოხატაურის მუნიციპალიტეტებიდან საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის ომსა და საბრძოლო მოქმედებებში დაღუპული გმირების დედებს.

შემდეგ ისინი დაესწრნენ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ორგანიზებით გამართულ ღონისიძებას, რომელიც გაიმართა სამხატვრო გალერეაში, სადაც მოეწყო ოზურგეთში მცხოვრები ხელოვანი ქალბატონების ხელნაკეთი ნამუშევრების გამოფენა.

ღონისძიებაზე დაჯილდოვდნენ გამოფენაში მონაწილე ქალბატონები და ასევე ფასიანი საჩუქრები გადაეცათ მუნიციპალიტეტში მცხოვრებ მრავალშვილიან დედებს.

## "დარგე შენი მომავალი"

7 მარტს, ქ.ოზურგეთში, ჭანტურიას ქუჩაზე არსებულ სკვერში ა(ა)იპი „ოზურგეთის სერვისცენტრის“ გამწვანების განყოფილების ინიციატივით „დარგე შენი მომავალი" გამწვანების აქცია ჩატარდა.

გამართულ აქციაში გურიის გუბერნატორმა გიორგი ჩხაიძემ და მისმა მოადგილემ მერაბ ჭანუყვაძემ მონაწილეობა მიიღეს. აქციის ფარგლებში 30 ძირი მუხა დაირგო, გამწვანების მსგავსი ღონისძიებები კვლავ იგეგმება.

## სოფ. ვაკიჯვარში და ჯუმათში საბავშვო ბაღები გაიხსნა

გაზეთი „ალიონი“

გაზაფხულის დასაწყისი ამ ორ სოფელში განსაკუთრებულად დასამახსოვრებელი გახდა. გაიხსნა ახალი საბავშვო ბაღები. ორთავე სოფელს საბავშვო ბაღი ორ ათეულ წელზე მეტია არ ჰქონია. ასევე, ახალი ჯგუფები გაიხსნა სოფ. ლიხაურის და დაბა ნარუჯის საბავშვო ბაღებში.

სოფ. ვაკიჯვრის საბავშვო ბაღის (გამგე სოფო რუსიეშვილი) რეაბილიტაციაზე 36 ათას ლარზე მეტი დაიხარჯა. გარდა ამისა, მუნიციპალიტეტმა სახურავის მასალა გადასცა.

მაკა ჭყონია:–ბაღების გაერთიანებამ საბავშვო ბაღებისთვის 50 ათასი ლარის ავეჯი შემოიტანა, საიდანაც დაკომპლექტა ეს ბაღიც. აქ 25 ბავშვს და 10 თანამშრომელს მუშაობის ყველა პირობა აქვთ შექმნილი.

ახალი ბაღის გახსნის ცერემონიალზე სიტყვებით გამოვიდნენ: მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე ავთანდილ სურგულაძე, გამგებელი კონსტანტინე შარაშენიძე, სოფლის მაჟორიტარი დეპუტატი თემურ მოქია. გამგებელი ბაღის თანამშრომლებს საჩუქრად ფერად ტელევიზორს შეჰპირდა.

სოფ. ჯუმათში ახალი ბაღი ადმინისტრაციულ შენობაშია განთავსებული. ბაღის გამგის ხათუნა დარჩიას თქმით ამ ეტაპზე 28 აღსაზრდელი ჰყავთ.

სოფლის ცენტრიდან დაშორებულ უბნებში (იანეთი, ძირჯუმათი) მცხოვრები მშობლები ითხოვენ დაეხმარონ ბავშვების ტრანსპორტირებაში, რის მოგვარებასაც მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელები შეჰპირდნენ.

უნდა აღინიშნოს, რომ ბაღს მხოლოდ სამი ოთახი აქვს დათმობილი და მის გაფართოებას წელს სოფლის პროგრამის ფარგლებში აპირებენ.

მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე ავთანდილ მექვაბიშვილმა ბაღის გახსნისას აღნიშნა, რომ სოფელს დიდი ტრადიციები აქვს და კონტიგენტიც საკმაოა იმისთვის, რომ ბაღი გაფართოვდეს. ამიტომ არსებულ შენობაში დამატებით ფართს გაარემონტებენ.

როგორც ვაკიჯვარში, ჯუმათში და სხვა ბაღებში პატარებს საჩუქრებით ეწვია მეცნიერთა და პედაგოგთა თავისუფალი პროფკავშირების ოზურგეთის ორგანიზაციის თავმჯდომარე როზა გოგუაძე და მათ თანადგომა აღუთქვა.

## ქალბატონებს გაზაფხულის დღესასწაულები მიულოცეს

ნინო ნიკოლაიშვილი

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ისტორიულ მუზეუმში შეხვედრა მოუწყვეს ქალბატონებს, რომლებიც თავიანთი ხანგრძლივი მუშაობის მანძილზე ღვაწლით გამორჩეული და არა ერთი წარმატებული საქმიანობის ავტორები და შემსრულებლები არიან. მუზეუმელმა ქალბატონებმა, მანანა ლომაძემ, ქეთევან ჭეიშვილმა, ლალი კილაძემ, ნინო ვაშალომიძემ, ლალი კოტრიკაძემ, პედაგოგმა ლიზი ლომჯარიამ მათი ბიოგრაფიულ თუ შემოქმედებითი შტრიხები გაიხსენეს.

**ზინა სალუქვაძე, ეთერ ქადეიშვილი, მალვინა თოიძე,** საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისთვის ბრძოლაში დაღუპული მებრძოლის, ვახტანგ გორგასლის ორდენის კავალერის ტარიელ მახარაძის დედა **მარგალიტა მახარაძე; ბელა კიკვაძე, დალი სალუქვაძე, ნანი სალუქვაძე, ლილი ცეცხლაძე.** მადლიერებაც იყო მათ გამოსვლებში, სიხარულიც, სევდაც და მწუხარებაც, რადგან ყოველივე თანმდევია ადამიანთა ცხოვრებისა. ამიტომაც ახლდა მათზე, თუ მათ მიერ წარმოთქმულ ფრაზებს ღიმილიცა და ცრემლიც.

მუზეუმის დირექტორმა გოგა ტრაპაიძემ კიდევ ერთხელ მიულოცა გაზაფხულის შემობრძანება და საჩუქრები გადასცა მათ.

## ინდ. მეწარმე „ვასილ ბეშიტაიშვილი“ და „ბრუკს ბარი“, გილოცავთ ქალთა დღესასწაულებს: დედის დღეს და ქალთა საერთაშორისო დღეს. გისურვებთ ბედნიერებას, შვილთა სიმრავლეს, გამთლიანებულ საქართველოში ცხოვრებას

(რ)

## 7 დღის ამინდის პროგნოზი

| 10 მარტი, ორშაბათი | 11 მარტი, სამშაბათი | 12 მარტი, ოთხშაბათი | 13 მარტი, ხუთშაბათი | 14 მარტი, პარასკევი | 15 მარტი, შაბათი | 16 მარტი, კვირა |
|---|---|---|---|---|---|---|
| წვიმა +12+22 | წვიმა +7+14 | წვიმა +5+10 | წვიმა +4+8 | მზე, ღრუბელი +7+9 | ღრუბელი +8+10 | მზე, +11+12 |

# ორი შეხვედრა ერთი საკითხის ირგვლივ

ნინო ნიკოლაიშვილი

სოფლის განვითარების პროგრამის ფარგლებში მოსახლეობასთან შეხვედრები აქტიურად მიმდინარეობს. ერთ-ერთი ასეთი შეხვედრა სოფ. მთისპირში 4 მარტს შედგა, რასაც მუნიციპალიტეტის გამგებელი კონსტანტინე შარაშენიძე, გამგეობის სპეციალისტი გიორგი ინწკირველი, ინფრასტრუქტურის სამსახურის უფროსი თემურ მურვანიძე, მაჟორიტარი დეპუტატის ბიუროს უფროსი მურთაზ ფოცხიშვილი ესწრებოდნენ.

სოფლის განვითარების პროგრამით, მოსახლეობის რაოდენობის მიხედვით, მთისპირს 29 000 ლარი ერგო. დაქვითვა თავისთავად თავისას მოითხოვს. მთისპირელთაგან ძირითადად ორი პრობლემა გამოიკვეთა. სოფლის ბაღის მენეჯერი ლოლა ვაშალომიძე: – „ჩვენ ბაღი გვჭირდება“.

სოფელის ბაღი ამჟამად ყოფილი მაღაროთა სამმართველოს კუთვნილ შენობაში ფუნქციონირებს, ხის ძველი შენობა, რომელიც ნახევარ საუკუნეზე მეტ ხანს ითვლის, ავარიულ მდგომარეობაშია და მასში ბავშვების ყოფნა საშიშია. ბაღი შეკეთებას არ ექვემდებარება. ნაგებობაც სხვისი საკუთრებაა და მათთვის დროებით სარგებლობაშია გადაცემული. ბაღის მასწავლებლებიც მძიმე მდგომარეობაზე საუბრობენ.

მეორე პრობლემა გზას შეეხებოდა. აკაკი მგელაძემ დაბლა ვანისქედის უბნიდან სოფლის შიდა გზების შეკეთება დაასახელა პრიორიტეტად: –კარგია ბაღის მშენებლობა, მაგრამ თუ იქამდე ბავშვები ვერ მივიყვანეთ, ბაღი რად გვინდა. ჩვენ მეზობელ სოფელ ბასილეთში დაგვყავს ბავშვები ბაღშიც და სკოლაშიც, სამ კილომეტრზე მეტი მანძილის გავლა მათთვის არ არის ადვილი.

გზის პრობლემაზე ხალხის ნაწილი ახმაურდა, ზოგი შიდა გზების შეკეთებაზე საუბრობდა, ზოგიც დაუმთავრებელ სამუშაოებზე. თუმცა ორთავე პრობლემაზე საუბარი კონკრეტულ ჯგუფსა თუ პიროვნებებთან მიდიოდა. მათ გარკვეულ ინტერესებში სდებდნენ ბრალს და ამ ინტერესს სწორედ მოახლოვებულ არჩევნებს უკავშირებდნენ.

აღსანიშნავია, რომ წინა წელს სოფლის განვითარების პროგრამით, გზის სარეაბილიტაციოდ 20 ათასი ლარი იყო გამოყოფილი, სარეზერვო ფონდიდან 80 000 ლარი გამოიყო. უმეტეს ადგილზე გზის გასწვრივ გაკეთდა სანაღვრე არხები, მოასწორეს გზის ვაკისი, დაიყარა ქვიშა.

მთისპირელ ელენე მახარაძის კითხვებს, სად წავიდა გზის მშენებლობისას მოჭრილი ხეები და მიწიდან ადრევე ამოღებული წყლის მილები, პასუხი არ მოჰყოლია.

დასახელებული თანხით ახალი შენობა ბაღისთვის ვერ აშენდება, აღნიშნა გამგებელმა. იქვე გაჩნდა იდეა, საამისოდ ხომ არ გამოდგებოდა სოფლის გამგეობის შენობის ოთახები. თუმცა შენობაში მისი მდებარეობიდან და სპეციფიკიდან გამომდინარე ნამდვილად ვერ იქნება ბავშვებისათვის კომფორტული გარემო.

– ავარიულ შენობაში ბავშვები შიშით შეგვყავს. წინა ხელისუფლების დროიდან ვითხოვდი ბაღისთვის შენობას, მაგრამ არავინ გვისმენდა. გენადი ზურგალიძემ და ანა ინწკირველმა (ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიული ორგანოს სპეციალისტები) არც ის ისურვეს აქ შემოვსულიყავით – აღნიშნა ჩვენთან საუბარში ლოლა ვაშალომიძემ.

შეხვედრაზე აღინიშნა ისიც, რომ გამგეობის შენობაც ივარით აქვს გადაცემული შპს „მთისპირი-2010“-ს, თუმცა არავის გახსენებია შპს -ს ხელმძღვანელთა ინიციატივა, წარმოების ამუშავების პარალელურად სოფლისთვის ბაღის მშენებლობაში დახმარების შესახებ.

როგორც მთისპირლები ყვებიან, აღნიშნული წარმოების თანადაფინანსებით, არაერთი სამუშაო შესრულდა სოფელში.

შეხვედრაზე მუნიციპალიტეტის გამგებელმა მეზობელ სოფელ ასკანაში მიმდინარე ინფრასტრუქტურის განვითარებაზე ისაუბრა. კერძოდ გზისა და წყლის კაპიტალურ რეაბილიტაციაზე, რაც ხელს შეუწყობს ბიზნესმენ ასკანელ ძმებს სოფელში თავიანთი ბიზნესის განვითარებაში. რაც მოსახლეობის დასაქმების წინაპირობაა და მისივე თქმით, ასევე გამოადგება სოფელ მთისპირსაც, თუმცა წყლის რეაბილიტაციის შემდგომი, აღნიშნული მოსალოდნელი გადასახადების გამო მოსახლეობამ უკმაყოფილება გამოთქვა, – მთისპირი წყალს და მეწყერს მიაქვს და ჩვენ წყალში ფულს ვერ გადავიხდით.

შეხვედრაზე საბოლოო გადაწყვეტილება არ მიუღიათ.

სამი დღის შემდეგ კვლავ შეიკრიბნენ ბაღის პრობლემებზე სასაუბროდ, მაგრამ ამჯერად უკვე შპს „მთისპირი 2010“-ის ხელმძღვანელთა ინიციატივით.

აღმასრულებელი დირექტორის **თენგიზ შარაშიძის** თქმით, ცალკეულ საუბრებსა და დაპირისპირებებს სჯობს ერთად დასხდომა და ერთიანი ინტერესებიდან გამომდინარე გადაწყვეტილებების მიღება. –„ ბაღის წარმომადგენელი ქალბატონები დამემოწმებიან, ჯერ კიდევ რამდენიმე ხნის წინ ვისაუბრეთ მათთან ერთად, რომ ჩვენი წარმოება სოფელს ბაღის მშენებლობაში დაეხმარება.. ეს აზრი არც ახლა შეგვიცვლია, რადგან პირადად მე, ამ სოფელთან სიყვარულის გარდა სხვა არაფერი მაკავშირებს. ამჯერად მუნიციპალტეტის გამგებელთან ერთად შევთანხმდით, ერთობლივად ავაშენებთ ბაღს, უკვე ვაწარმოებთ მოლაპარაკებას კერძო პირთან სოფლის ცენტრში ეზოს შესასყიდად (შეკრების შემდგომ ეზო ერთობლივად დაათვალიერეს).

**დავით შარაშიძე,** შპს „მთისპირი-2010“ ხელმძღვანელი:– ამ სოფელში ბევრმა იცის, რა რესურსი დაიხარჯა ჩვენს მიერ გაწეულ სამუშაოებში თუ ფულით, თუ ტექნიკის მეშვეობით. ჩვენ, თქვენთან ერთად, ამ სოფლის შვილები ვართ და ვალდებულად ჩავთვალეთ თავი, უანგაროდ გაგვეკეთებინა ეს ყოველივე ჩვენი სოფლისთვის. ასევე ვიცით ბავშვებისთვის ბაღის მშენებლობის მნიშვნელობაც, რადგან მათ აუცილებლად სჭირდებათ ნორმალური, მოწესრიგებული გარემო.

შეხვედრაზე დაისვა კითხვები: რა დაჯდება 30 ბავშვისთვის განკუთვნილი ტიპიური შენობა, რა თანხა დაიხარჯება ადგილობრივი ბიუჯეტიდან, რითი დაეხმარება ხელისუფლება სოფელს, რის გადახდას შესძლებს წარმოება, რომლის უკან დგას ისევ ამ სოფლის მოსახლეობის ინტერესები და არა მარტო მათი, არის თუ არა მზად სოფლის მოსახლეობა, შრომითი რესურსი მოხალისეობრივი წესით ჩადოს ამ მნიშვნელოვან საქმეში, რა პროცედურები და ინიციატივებია საჭირო საამისოდ, ყოველივე ეს ახლო მომავლის საქმეა და პასუხებსაც შესაბამისად პერიოდულად მივიღებთ.

# ფამფალეთლები უგზოობას უჩივიან

ნუგზარ ოთარიშვილი

შარშან სახელმწიფო დაფინანსებით „ბლექსი გრუპმა“ ცხემლისხიდი-ვაკიჯვრის 7 კილომეტრიანი გზის სრული რეაბილიტაცია მოახდინა. შესრულდა 2 მილიონ 665 ათასი ლარის სამუშაოები. გარდა ამისა, ასფალტირების პარალელურად ვაკიჯვარში გზის გასწვრივ რეაბილიტაცია ჩაუტარეს წყლის ქსელს, რაზედაც დამატებით 242 ათასი ლარი გამოიყო.

თუ ვაკიჯვრელები კმაყოფილებას გამოთქვამენ ხელისუფლების მიმართ, ფამფალეთლები საყვედურს ამბობენ მათი გზების მოუვლელობის გამო. ეს ამ დღეებში სოფ. ვაკიჯვარში გამართული კრებისას გამოიკვეთა. აქ წყლის პრობლემაც დგას.

–წინა ხელისუფლებამ ტრაქტორის გუთნით ამოთხარა ორმოები და ისე ჩაყარა მილები, რომლებიც დაზიანდა და დღეს წყლის პრობლემა გვაქვს–აღნიშნა რამიზ თავართქილაძემ. წყლის პრობლემა დააყენა ლამარა მდინარაძემაც.

–დავით ნარმანია ჩვენს სოფელში სტუმრობისას შეგვპირდა, გზის პრობლემას მოგიგვარებთო. ფამფალეთში გზაზე გავლა შეუძლებელია –აღნიშნა კუკური ინწკირველმა.

–სოფლის პროგრამით 36 ათასი ლარი გაქვთ გამოყოფილი. აქედან 19 ათასი ვაკიჯვარს ეკუთვნის და 17 ათასი

ფამფალეთს. მუნიციპალიტეტიდან კიდევ დაგეხმარებით და იქნებ გზა შევაკეთოთ–შესთავაზა შეკრებილთ მუნიციპალიტეტის გამგებელმა კონსტანტინე შარაშენიძემ.

საბოლოოდ შეთანხმდნენ, რომ ფამფალეთის წყლის თემას სოფ. ბახვის წყლით მომარაგების პროექტის შედგენისას გაითვალისწინებენ. ვაკიჯვრელები მათთვის გამოყოფილი თანხით ადმინისტრაციულ შენობას შეაკეთებენ, ხოლო ფამფალეთლები არსებული თანხის ფარგლებში გზას შეაკეთებენ.


## ძვირფასო ქალბატონებო!

გილოცავთ გაზაფხულის ლამაზ დღესასწაულებს – ქალთა და დედის დღეს. გისურვებთ კარგ ქალობას, ბედნიერებას, შვილთა სიმრავლეს, წარმატებებს საზოგადოებრივ საქმიანობაში.

შპს „გზამშენი 18“ კოლექტივი

„იბერიგი ჭრილ ჯორჯანს“ ოზურგეთის ცენტრალური

გილოცავთ გაზაფხულის ლამაზ დღესასწაულებს: დედას დღეს, ქალთა საერთაშორისო დღეს და გისურვებთ ყველა ლამაზ ქალბატონს.


# ქალთა ნამუშევრების გამოფენა

ნინო ნიკოლაიშვილი

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სურათების გალერეაში კულტურის სამსახურისა და სურათების გალერეის ერთობლივი ღონისძიება - ოზურგეთელი ქალბატონების ნამუშევართა გამოფენა გაიმართა. გამოფენა მიეძღვნა ქალთა საერთაშორისო დღეს.

სხვადასხვა პროფესიის ხელოვანი ქალბატონები: **მარინა სუნგულია, ნინო ხომასურიძე, ნინო ჭელიძე, ნათია გორდელაძე, ქეთევან მალაზონია, შორენა კიკუტაძე, ჯული კეთილაძე, ირმა გოგატაძე, ლელა ბასილია, ინგა დუმაძე, ნარა ლომთათიძე, ხათუნა ცერცვაძე, ნანი ჭანუყვაძე, ფიქრია სოროზან-აშვილი, მერი კეჭაყმაძე.** მათ მიერ წარმოდგენილი სხვადასხვა მასალითა და თემატიკით შესრულებული ნამუშევრები არა მხოლოდ მრავალფეროვნებით, სინატიფითა და გემოვნებით გამოირჩევა. ნაქარგობა, თაფლის სანთელი, შერეული ტექნიკა, გობელენი, აპლიკაცია, ბუნებრივი მასალები... ეს, ამ გამოფენის მშვენებაა და მათი ავტორებიც თავისთავად. გამოფენისა და ქალთა შემოქმედების მნიშვნელობაზე ისაუბრა ხელოვნებათმცოდნე **ლია ურუშაძემ.**

ეს დღე მრავალშვილიან დედებსაც მიულოცეს. 19 ქალბატონს, შვილთა სიმრავლის მიხედვით პურის საცხობი და „პოშის“ ფირმის სარეცხი მანქანები გადასცა საჩუქრად ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგებელმა **კონსტანტინე შარაშენიძემ.** მათ შორის გახლდათ 14 შვილის დედა ელენე მუკანიანი. გაზაფხულის დღესასწაულები მიულოცეს სტუმრებს მხარის გუბერნატორმა **გიორგი ჩხაიძემ,** პირველმა მოადგილე **მერაბ ჭანუყვაძემ,** საკრებულოს თავმჯდომარე **ავთანდილ სურგულაძემ,** კულტურის სამსახურის უფროსმა **მია თანდილაშვილმა.**

# ბიბლიოთეკაში ქალთა დღესასწაულები აღნიშნეს

მარი კოძოევი

5 მარტს ოზურგეთის ცენტრალურ ბიბლიოთეკაში, ბიბლიოთეკისვე ორგანიზებით დედის და ქალთა საერთაშორისო დღე აღინიშნა. ღონისძიებაზე მიწვეული იყვნენ მრავალშვილიანი დედები. მათ შორის ორი, ლეილა მიქაძე და ხათუნა ქავთარაძე 8 შვილის დედა გახლდათ. მრავალშვილიან დედებს მასპინძლმა დღესასწაულები თაიგულებით, საჩუქრებით და საკონცერტო ნომრებით მიულოცეს.

ღონისძიებაში მოწაწილეობდნენ ბავშვთა ქორეოგრაფიული ანსამბლი „იბერია" და მუსიკალურ სკოლასთან არსებული ხალხურ საკრავთა ანსამბლი თამთა კვირკველიას ხელმძღვანელობით. ასევე ლიკა მამალაძე და ხათუნა ქავთარაძე.

გალაკტიონის ლექსით მიულოცა მსახიობმა ბელა კიკვაძემ სტუმრებს ქალთა დღესასწაულები.

ქალბატონებს ასევე მიულოცა საკრებულოს თავმჯდომარე ავთანდილ სურგულაძემ. მისი თქმით, დღესასწაულის აღნიშნა უფრო ფართო მასშტაბით ეგეგმებოდა, მაგრამ პომპეზური აღნიშნა აღარ იქნება, საზოგადოებისთვის კარგად ცნობილი მიზეზის გამო, გარდაიცვალა ქორეოგრაფი, ჯუმბერ დუნდუა. ღონისძიებაც ცნობილი ქორეოგრაფისადმი პატივის მიგებით, წუთიერი დუმილით დაიწყო.

აღნიშნული ღონისძიება მოამზადა ბიბლიოთეკის წამყვანმა სპეციალისტმა, თამარ ბილიხოძემ.

# ჯუმბერ დუნდუა

## ჯუმბერ დუნდუას გარდაცვალების გამო

ქართული კულტურის და ფოლკლორის გამოჩენილი მოღვაწის, სახელგანთქმული ქორეოგრაფის, ანსამბლ „გურიას“ ხელმძღვანელის, ღირსების ორდენის კავალერის, საპატიო ვარსკვლავოსანი ხელოვანის, ჭეშმარიტი მამულიშვილის ჯუმბერ დუნდუას გარდაცვალება უდიდესი დანაკლისია ჩვენთვის, ოზურგეთისა და ოზურგეთელებისათვის, გურიისთვის, მთელი საქართველოსთვის. ბავშვობიდან ახლოს ვიცნობდი და დიდ პატივს ვცემდი ამ ჭეშმარიტ ხელოვანს, უნიჭიერეს პედაგოგს და ადამიანს.

არასოდეს დამავიწყდება მისი ზედმიწევნით მაღალი კულტურული თვისებები, მისი ვაჟკაცური გულისხმიერება, მუდმივი სწრაფვა სრულყოფილებისაკენ შემოქმედებაში და ადამიანურ ურთიერთობებში. ბატონი ჯუმბერი სიცოცხლის ბოლომდე ღირსეულად ემსახურებოდა თავის საყვარელ საქმეს — ქართულ ქორეოგრაფიას და ცდილობდა მის მიერ ნაწრთობი ანსამბლი თავისი კლასით და შესრულების მანერით ჩვენთვის სიამაყის საფუძველი ყოფილიყო. ასეც იყო დღემდე და იმედი მაქვს, ბატონი ჯუმბერის საამაყო შვილის, ასევე შესანიშნავი ქორეოგრაფის კობა დუნდუას ხელმძღვანელობით ანსამბლი „გურია“ და დუნდუების სტუდიის მოსწავლეები მომავალშიც არაერთხელ გაგვახარებენ ჩვენ, ოზურგეთლებს, ახალ-ახალი წარმატებებით.

ბატონი ჯუმბერის ნათელი ხსოვნის საპატივცემულოდ ჩემს მოვალეობად ვთვლი მისი დანატოვარი მაღალი შემოქმედებითი მიღწევების შემდგომ მხარდაჭერას და პატრონაჟს. ღმერთმა გაანათლოს ამ დიდებული ადამიანის სპეტაკი სული და დაუმკვიდროს სასუფეველი.

ჩემი და ჩემი ბიუროს თანამშრომლების სახელით გულწრფელ სამძიმარს ვუცხადებ განსვენებულის ოჯახს, ოზურგეთს და ოზურგეთლებს.

**ზვიად კვაჭანტირაძე,**
საქართველოს პარლამენტის წევრი,
საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის
თავმჯდომარის პირველი მოადგილე,
ოზურგეთის მაჟორიტარი დეპუტატი

---

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო ღრმა მწუხარებით იუწყება ქართული კულტურის გამორჩეული მოღვაწის, გამოჩენილი ქორეოგრაფის, ღირსების ორდენის კავალერის, არაერთი შესანიშნავი მოცეკვავის და ქორეოგრაფის აღმზრდელის, ოზურგეთის ცეკვის სახელმწიფო ანსამბლ „გურიას“ ხელმძღვანელის ბატონ ჯუმბერ დუნდუას გარდაცვალებას.

ბატონმა ჯუმბერმა ღრმა მოქალაქეობრივი პასუხიმგებლობით, ენთუზიაზმით, უდიდესი პროფესიონალიზმით იღვაწა დიდი ეროვნული საქმის - ქართული ქორეოგრაფიული ხელოვნების განვითარებისათვის. ჯემბერ დუნდუას გარდაცვალება უდიდესი დანაკლისია არა მარტო ოზურგეთის, არამედ საქართველოს კულტურისა და ქორეოგრაფიული საზოგადოებისათვის.

ღმერთმა ნათელი დაუმკვიდროს!

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სახელით თანაგრძნობას ვუცხადებ განსვენებული ოჯახს.

**ავთანდილ სურგულაძე**
ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე

---

## ჯუმბერ დუნდუა

საქართველოს პედაგოგთა და მეცნიერთა თავისუფალი პროფკავშირის ოზურგეთის რაიონული ორგანიზაცია უსაზომო მწუხარებით გამოეთხოვა ღვთიური მადლით ცხებულ ქართველ ხელოვანს, ოზურგეთელთა საამაყო პიროვნებას, ბატონ ჯუმბერ დუნდუას — კაცს, რომელმაც დაუღალავი შრომით, პროფესიის უსაზღვრო სიყვარულით უძველესი ქართული სულიერება, ქართული ჯიში და გენი ცეკვით გარდასული გააბრწყინა, „საზღვართა გარეთ“ განაფინა და სამზეო ახილვინა. საუკუნეთა მრუმეებიდან ამოზიდული საცეკვაო ოსტატობით რაინდულ სულს, კდემამოსილ სინარნარეს, ვაჟკაცობას, სიყვარულს, ზნეობას აზიარა თაობა ჩვენი.

აუწყავია ბატონი ჯუმბერის ღვაწლი ოზურგეთის საგანმანათლებლო დაწესებულებებში, მან ათასობით გოგო-ბიჭი აზიარა ქართული ხალხური ცეკვის ხიბლსა და საიდუმლოებებს.

ცხოვრების უკანასკნელ გზაზე მიმავალ ჯუმბერს უამრავი ცრემლი გაჰყვა. მათ შორის ყველაზე წმინდა მისი აღზრდილებისა და აღსაზრდელების ცრემლები იყო. დიდი სევდის გარდა მათ სახეზე აშკარად იკითხებოდა მათი დაუოკებელი სურვილი — სიცოცხლის ბოლომდე უერთგულონ ქართულ ცეკვას და ამით უკვდავყონ დიდი მაესტროს სახელი.

ღმერთმა დაამკვიდროს ბატონი ჯუმბერის სული მარადიულ სასუფეველში.

**როზა გოგუაძე,**
განათლების მუშაკთა პროფკავშირის ოზურგეთის
ორგანიზაციის თავმჯდომარე

---

## როცა ფერები ხუნდებიან...

ხუნდებიან ჩემი საყვარელი ფერები და...“ ეს სიტყვები კვნესას ამოაყოლა დიდი კონსტანტინეს საოცარმა თარაშ ემხვარმა.

გახუნებული ფერები და...სიკვდილის სიახლოვე!

გახუნებული ფერები და... სიკვდილთან თანაზიარობა!

როდის იწყება ფერების გახუნება. როდის ეკარება სუნთქვას სილაღე?!

...წლების წინანდელი მახსენდება. ქალაქ ოზურგეთის №1 საშუალო სკოლის ქორეოგრაფიული ანსამბლი „მეგობრობა“ შორეულ ციმბირს ცეკვებით იპყრობს.

თვითმფრინავი ციდან სერავს ძალოვან, ქედუხრელ, ყველაფრით ციმბირულ მდინარე ობს...ვეშვებით! მარჯვნივ ქალაქი სტრეჟევოია –მენავთობეთა ქალაქი.

ღიმილით გვეცნობა კომკავშირის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი ბორის აბრამოვი და... შემდეგ ჯუმბერ დუნდუას კითხულობს.

დეპეშის ხსენებას უსიამოვნო შეგრძნება ახლდა. ყველას უცნაური ტკივილი მოგვეძალა. ტკივილი, რომელსაც ერთმანეთს არ ვუმხელთ. ავტობუსში ვსხდებით და სასტუმრო „სევერში“ ჯუმბერი ჩვეული სიდინჯით ანაწილებს ნომრებს, მერე სადილი და...სატელეფონო ზარი ტომსკიდან...

ფერშეცვლილი ჯუმბერ დუნდუა დუმს! მაშინ პირველად აღვიქვი გახუნებული ფერის სიმძაფრე!

აუცილებელია კავშირი მახარაძესთან. ბორისის დახმარებით მიზანს ვაღწევთ. კომკავშირის მახარაძის რაიკომის პირველი მდივნის გოგი ინწკირველის სიტყვები უიმედოდ გაისმა— თენგო ცუდადაა!

იქნებ?!..იჭვი სულს სერავს, მაგრამ არ შეიძლება ჯუმბერის ძმის გამეტება, ვერც იმეტებს, არადა, ამაოდ ეჭიდება იმედს, მაგრამ, მაინც უნდა დაბრუნდეს, დატოვოს ანსამბლი, რომელმაც ციმბირი დაიპყრო...

რა იყო მერე? –ძმა ფიქრში გაბატონდა! ჯუმბერის ქორეოგრაფიული მოღვაწეობაც ისევ გაგრძელდა. წარმატებებში ხელს უწყობდა ოჯახური სიმშვიდე, მუდამ მხარში ედგა მეუღლე მაგული, სიმშვიდეს და სიხარულს მატებდა საფიცარი შვილები: ნათია და კობა!

ჯუმბერისთვის ჩვეული გახდა პირველობა, გამორჩეულობა, განუმეორებლობა!

ნინო რამიშვილი, ჯუმბერ დუნდუა სტუდიის გაზსნაზე ოზურგეთში. 1986 წ.

მეცადინეობები შეუსვენებლივ, განუწყვეტლივ...ქორეოგრაფი ჯუმბერ დუნდუა მაყურებელთა გულის მპყრობელი გახდა.

რა დამავიწყებს „მეგობრობის“ გასტროლებს მოსკოვში, კრემლის ყრილობათა სასახლეში.

ცეკვები ტაშის გრიალით იწყებოდა და გრძელდებოდა. რამდენჯერ მოუხმეს სცენაზე ქორეოგრაფ ჯუმბერ დუნდუას.

მადლობები, ჯილდოები, წოდებები, ვარსკვლავის გახსნა, ორდენი...

ოჯახიც მყარად დგას ფეხზე... იყო შვილების ქორწილები, ბაბუა და ბებია შვილიშვილებმა გაახალის–გაახალგაზრდავეს..

რამდენი რამის თქმა და მოგონება შეიძლება მაგრამ...

ისევ ტკივილი მომაძალა გახუნებული ფერების გახსენებამ.

ჯუმბერს მშობლებმა უხმეს, თენგომ უხმო და...

ფერები გახუმდა! სუნთქვა შეწყდა! სიცოცხლე მარადისობაში გადავიდა!

ჯუმბერ დუნდუას ხსოვნას მოგონების ნათელი გვირგვინი დაადგა!

ეთერ ქადეიშვილი

---

## იდეალი–მასწავლებელი

უფალმა ამქვეყნად კაცი მოყვასის სასიკეთოთ მოავლინა. ვისაც ეს სწამს და სჯერა, თრგუნავს და ამარცხებს უკეთურებასა და უმეცრებას. ჯუმბერ დუნდუას გვერდით ცხოვრება და არსებობა დიდი ბედნიერებაც იყო და პასუხისმგებლობაც, რადგან გრძნობდი, რომ ამ ლამაზი სულისა და კეთილი ნების მქონე კაცი-ლეგენდა რწმენითა და იმედით გავსებდა და დაგაფიქრებდა იმაზე, თუ როგორი თავგამოდებით უნდა ებრძოლოს ჭეშმარიტმა ხელოვანმა ქართული თვითმყოფადი კულტურის, საქვეყნოდ აღიარებული ხალხური ფოლკლორის–ქორეოგრაფიის გადასარჩენად და ასაღორძინებლად.

წავიდა თუ არა ჩვენგან, ეს კიდევ საკითხავია! ამგვარი ზნეობის და სულიერი ღირებულებების კაცნი სააქაო ცხოვრებიდან იოლად არ ქრებიან, რადგან ჩვენს მეხსიერებაში ცოცხლობენ, გვმოძღვრავენ, ამიტომ მათივე ნაზარდნი ვალდებულნი ვართ, მომავალ თაობას –ჩვენს შვილებს მოვუყვეთ, ვის მხარდამხარ განვლეთ ბავშვობის სანატრელი წლები, ვინ იყო ჩვენი იდეალი— მასწავლებელი, ვის მიერ ანთებული სანთელ - საკმეველი მუდამ რომ გვინათებენ წუთისოფლის გზა-კვალს.

ჯუმბერ დუნდუა ქართული ხალხური ცეკვის სიყვარულს ფანატიკურად გადასცემდა ნორჩ მოცეკვავეთა არაერთ თაობას. გარეგნულად დახვეწილი, აკურატული, პროფესიული ვალის მოსახდელად ხშირად თავდაუზოგავი და მოუღლელი, მუდამ საყვარელი და მისაბაძი, პრინციპული და სამართლიანი. გარს იკრებდა ნიჭიერ ახალგაზრდობას, აღზარდა ქორეოგრაფთა მთელი პლეადა. მისი საუკეთესო აღზრდილების უმეტესობა ცეკვას ილიკო სუხიშვილისა და ნინო რამიშვილის სახელობის ქართულ ნაციონალურ ბალეტში, აჭარის სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლში, ასევე ანსამბლებში „ერისიონი,“„რუსთავი“ და „როკვა.“ცდილობენ საყვარელი მასწავლებლის ნეთელ კვალს დაადგნენ, მისი პრონციპებით იცხოვრონ, აიმაღლონ პროფესიონალიზმი, იღვაწონ და შექმნან.

ჯუმბერ მასწავლებელზე, როგორც გამორჩეულ ხელოვანსა და პედაგოგზე, წარმოდგენა ჩემი ბავშვობიდან იწყება. სოფელ შრომის საშუალო სკოლასთან არსებული ქორეოგრაფიული ანსამბლ „მეგობრობის“ წევრები ახლა გულისტკივილით ვიგონებთ წარსულს, სცენასა და სცენის მიღმა ჯუმბერ დუნდუასთან ურთიერთობა დიდ ბედნიერებად მიგვაჩნია და სიამაყის გრძნობით ფრთაშესხმულნი მადლობას ვწირავთ ღმერთს, რომ ღირსეულმა მოძღვარმა შესძლო სითბოს და სიყვარულის გაცემა.

ჯუმბერ დუნდუას ცრემლით აცილებს მთელი სოფელი, ნათესავები, მეგობრები, აღზრდილები, სკოლა. უშენოდ ცხოვრებას როგორ უნდა შევეგუოთ. მაგონდება, თუ როგორ გიყვარდა

მშობლიური სოფლის მონახულება, საკუთარი კარ-მიდამოს თვალის გადავლება, თანასოფლელებთან საუბარი. განსაკუთრებულ სითბოს იჩენდა ბავშვების მიმართ, ეფერებოდა და უხაროდა, როცა იგებდა მათ ვინაობას. მოგონებების სკივრიდან ამოკრეფდა, ხან იუმორით და ხან ტკივილით მოუყვებოდა მათი წინაპრების ამბებს. ჭირისა თუ ლხინის ჟამს ყოველთვის სოფელში ტრიალებდა, მისით ცოცხლობდა და მისით ხარობდა.

სახელოვანი მამის გზას გვჯერა კვლავ ჩვეული ენერგიითა და თავდაუზოგავი შრომისმოყვარეობით გაგრძელებს მისი ვაჟიშვილი, უნიჭიერესი მოცეკვავე და ქორეოგრაფი კობა დუნდუა. იგი ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ქართული ხალხური ცეკვის სახელმწიფო ქორეოგრაფიული ანსამბლ „გურიას“და ილიკო სუხიშილისა და ნინო რამიშვილის სახელობის ქორეოგრაფიულ ანსამბლ „მეგობრობის“სული და გულია.

გულს ისიც მიკლავს, რომ სოფელ შრომის საჯარო სკოლის დაარსებიდან 150-ე წლისთავის იუბილეს აღარ დაამშვენებს ჯუმბერ დუნდუას კოლორიტი, თუმცა მისი საყვარელი ხატება მჯერა, მაინც იქნება ჩვენი თანამიმდევი. „სუხიშვილების“შეუდარებელი მოცეკვავისა და ქორეოგრაფის კუთხეს თვალსაჩინო მასალს თავის კუთვნილ ადგილს მივუჩენთ და ცრემლითა და ტკივილით მოვიგონებთ მის ღრმადნაყოფიერ მოღვაწეობას. არ ვუმტყუნებთ კვლავაც, მის მიერ გათელილი ბილიკებით ვივლით.

მსუბუქი იყოს მის გულზე დაყრილი მიწა. ღმერთმა სასუფეველში გაუნათოს გზა.

**რუსუდან ცეცხლაძე,**
სოფელ შრომის საჯარო სკოლის დირექტორი.

# იური სიორიძე 75 წლის იქნებოდა

გასული საუკუნის 90-იანი წლები რთული იყო საქართველოში. 1991-92 წლების დეკემბერ-იანვრის სამოქალაქო ომის შემდეგ ქვეყანაში კრიმინოგენური მდგომარეობა კიდევ უფრო დამძიმდა. ამ დროს ოზურგეთის პოლიციას გამოცდილი იური სიორიძე ხელმძღვანელობდა.

ბევრ ოზურგეთელს ახსოვს იმჟამინდელი პოლიციის წინ, სკვერში ასეულობით ოზურგეთელის წინ პოლიციის უფროსის სიტყვები: „ან წესრიგს დავამყარებთ ოზურგეთში, ან შევეწირები ამ ბრძოლას..“ მართლაც ძალიან მალე, 1992 წლის 30 დეკემბერს, მდ. ჩოლოქის პირას ბანდიდებთან ბრძოლას შეეწირა მისი სიცოცხლე. მასთან ერთად დაიღუპა მისი თანამებრძოლი, ოფიცერი ნუკრი სეფერთელაძე და მძიმედ დაიჭრა რამდენიმე პოლიციელი.

მისი და მისი თანამებრძოლების პატივსაცემად ყოფილი პოლიციის წინ, სკვერში გაკეთდა მემორიალი. სიკვდილის შემდეგ დააჯილდოეს ვახტანგ გორგასლის მედლით. ტარდება მისი სახელობის საერთაშორისო ტურნირები ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში და ა.შ. მისი თანამებრძოლები, მეგობრები და ახლობლები წლების მანძილზე იკრიბებიან მის საფლავთან დაღუპვისა და დაბადების დღეს.

4 მარტს იური სიორიძე 75 წლის გახდებოდა. მის საფლავთან კვლავ შეიკრიბნენ იური სიორიძის მეგობრები და ახლობლები. მოვიდნენ მხარისა და მუნიციპალიტეტის, ძალოვანი სტრუქტურების ხელმძღვანელები, რიგითი ოზურგეთლები და ერთხელ კიდევ პატივი მიაგეს სამშობლოსათვის თავგანწირული ვაჟკაცის ხსოვნას.

როგორც მისმა ვაჟმა, ზაზა სიორიძემ გვითხრა, წელს მაისში, ოზურგეთში იური სიორიძის მორიგი მემორიალური ტურნირი გაიმართება ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში.

რამდენიმე ხნის წინ ჩვენი გაზეთის არქივში მივაკვლიეთ ვ. ფატრიძის (ვ. ჭანუყვაძის) სტატიას, რომელიც იური სიორიძის ცხოვრების ადრეულ წლებს ეძღვნება. გთავაზობთ ამონარიდებს ამ წერილიდან:

**„სურათზე თქვენ ხედავთ იური სიორიძეს. ხომ არ გეცნობათ? ბევრს ალბათ არც გაგიგონიათ მისი სახელი. ყველა ადამიანი ერთბაშად არ გამხდარა ცნობილი. მოვა დრო და ამ თავმდაბალ ახალგაზრდასაც უფრო მეტად გამოაჩენს მისი შრომა და საქმიანობა.**

**მაღალი, წარმოსადეგი ტანის ყმაწვილია იური. მასში დაკვირვებული კაცი ადვილად შეამჩნევს ფიზიკურ ძალასაც და იმ დიდ სულიერ გულკეთილობას, რომელიც ცისფერი თვალების სიღრმიდან გამოსჭვივის. იგი შეიყვარეს კონჭკათელმა მშრომელებმა და ახალგაზრდებმა საერთო საქმის ერთგულებისთვის, შრომისმოყვარეობისთვის, ნდობა გამოუცხადეს და საკოლმეურნეო პირველადი კომკავშირული ორგანიზაციის მდივნად აირჩიეს.**

**მას შემდეგ ერთი წელი გავიდა... ჩაუდგა თუ არა იური ახალგაზრდობას სათავეში, მუშაობაც გამოცოცხლდა. იგი პირადი მაგალითით უჩვენებს სხვებს, თუ როგორ უნდა საერთო საქმისთვის ბრძოლა, დადებული პირობების პირნათლად შესრულება.. თვით იურიმ, რომელსაც 0,5 ჰექტარი საყანე ფართობი ჰქონდა მოსავლელად გაპიროვნებული, ჰექტარზე გადაყვანით 75 ცენტნერი სიმინდი მოიყვანა.**

**შემდეგ კონჭკათელმა ახალგაზრდებმა საინტერესო ინიციატივის ალება გადაწყვიტეს –გამოუყენებელი არ დაეტოვებინათ არც ერთი ჰექტარი მიწის ფართობი. დაამუშავეს 3 ჰექტარი ყამირი და ნასვენი მიწა. მასზე დარგეს 1500 ძირი კაიფერას ჯიშის მსხლისა და 500 ძირი თუთის ნერგი...“**

**„კონჭკათში ახალი ძალით აჩქდა სპორტული მუშაობა, რასაც ერთი მხრივ იმანაც შეუწყო ხელი, რომ თვით ახალგაზრდობის ხელმძღვანელია სპორტზე შეყვარებული. იური პირველთანრიგოსანი მოჭიდავეა. 1960 წელს დაიწყო სპორტის ამ სახეში მეცადინეობა და მალე საუკეთესო შედეგებსაც მიაღწია. იგი რაიონის მოჭიდავეთა ნაკრები გუნდის წევრია. ხშირად საუკეთესო შედეგით გამოსულა რესპუბლიკურ შეჯიბრებებშიც...“** (გაზ. „ლენინის დროშა,“ 15 აპრილი, 1962 წ. №46).

იური სიორიძემ სწავლაშიც და სპორტშიც მალე დიდ წარმატებებს მიაღწია. თსუ-ს სტუდენტი საქართველოს მოჭიდავეთა ნაკრების წევრი იყო და სოფლის სპორტსმენთა საკავშირო პირველობაზე სპორტის ოსტატი ჩემპიონი გახდა. ამას არერთი გამარჯვება მოჰყვა თანაგუნდელებთან ერთად სხვადასხვა ტურნირზე.

1992 წელს იგი საქართველოს ნაკრებთან ერთად თურქეთში დიდ საერთაშორისო ტურნირზე გაემგზავრა. მისი თავკაცობით დამოუკიდებელი საქართველოს ნაკრებმა გუნდმა პირველ დიდ წარმატებას მიაღწია...

ასე იცხოვრა, სამმა ხანი გავიდა მისი ტრაგიკული დაღუპვიდან. წავიდა და დატოვა კარგი სახელი, ლამაზი ოჯახი და მაგალითი იმისა, თუ როგორ უნდა განვლოს ადამიანმა უფლის მიერ ნაბოძები ცხოვრების მონაკვეთი და თუ საჭირო გახდა, როგორ ღირსეულად დატოვოს წუთისოფელი.

**ნუგზარ ასათიანი**


სააქციო საზოგადოება „ოზურგეთლუდი“
და რესტორანი „ტონუსი“ გილოცავთ
გაზაფხულის ლამაზ დღესასწაულებს!

თქვენ ჩვენთან კვლავ გელოდებათ მყუდრო გარემო,
კერძების და სასმელების ფართო არჩევანი,
უგემრიელესი კასრის ლუდი „ტრადიციული“. (რ)


# სიყვარულით ნაკეთები საქმე

გვინდა მადლობა გადავუხადოთ და გაზაფხულის დღესასწაულები მივულოცოთ მეტყველების თერაპევტ ქ-ნ თამარ დუმბაძეს. ის არა მარტო პროფესიონალია თავისი საქმის, უსაზღვროდ გულისხმიერი და მოსიყვარულეა ბავშვების მიმართ. ამიტომაც ახერხებს დაეხმაროს მათ მეტყველებაში არსებული ნაკლოვანებების დაძლევაში და კარგ შედეგებსაც აღწევს.

წარმატებებს ვუსურვებთ მას, სიკეთესა და ბედნიერებას. ღმერთმა გვიმრავლოს ასეთი ადამიანები.

მშობლები: **ნანა ხომერიკი, თეა კვაჭარაძე, მამუკა გუმბარიძე, ლელა და ელგუჯა ბურჭულაძეები, ირმა ერქომაიშვილი, მერინა ეკრეკიანი.**

# მეორე წრე პირველი წრის სცენარით

გურიის რეგიონის ყველაზე ასაკოვანი კლუბის, ოზურგეთის „მერცხალის“ ფეხბურთელები საქართველოს პირველობის (I ლიგა) II წრის მატჩებსაც ჯერ-ჯერობით წარუმატებლად ატარებენ. გუნდმა, რომელსაც მხოლოდ 5 ქულა აქვს, მარტის დასაწყისში კვლავ ორი თამაში დათმო.

მართალია მეორე წრის პირველ ტურში საშინაო მატჩი გათამაშების ლიდერთან ფოთის „კოლხეთთან“ ურიგოდ არ ჩაუტარებია, მაგრამ ფოთელი შალვა კვანტალიანის მიერ 33-ე წუთზე გატანილ გოლს ვერ უპასუხეს და მინიმალური სხვაობით დამარცხდნენ.

6 მარტს „მერცხალი“ ტყიბულში სტუმრად ადგილობრივ „მეშახტეს“ შეხვდა. მასპინძლებმა მშრალი ანგარიშით (3:0) დაამარცხეს მეტოქე და ახლა 21 ქულით მე-7 საფეხურზე არიან.

მორიგ შეხვედრას მერცხალი 12 მატჩს გამართავს „მეგობრობაზე.“ მისი მეტოქე, ასევე აუტსაიდერი თელავის „კახეთი“ იქნება. ამ მატჩს დიდი მნიშვნელობა აქვს „მერცხალისათვის,“ რადგან სავარაუდოდ „მერცხალს,“ „კახეთისა“ და ბათუმის „ადელს“ შორის უნდა გამოვლინდეს ის ბოლო ორი გუნდი, რომლებიც პირველ ლიგას დატოვებს.

## გათამაშების ცხრილი

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ-შ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „კოლხეთი“(ფოთი) | 14 | 12 | 1 | 1 | 34-7 | 37 |
| „შუქურა“ | 13 | 10 | 2 | 1 | 46-12 | 32 |
| „საპოვნელა“ | 14 | 9 | 2 | 3 | 29-11 | 29 |
| „ალგეთი“ | 14 | 8 | 1 | 5 | 22-14 | 25 |
| „გაგრა“ | 14 | 6 | 6 | 2 | 27-15 | 24 |
| „დინამო“ (თბ)II | 14 | 7 | 2 | 5 | 32-19 | 23 |
| „მეშახტე“ | 14 | 6 | 3 | 5 | 26-21 | 21 |
| „ჩხერიმელა“ | 13 | 5 | 3 | 5 | 21-24 | 18 |
| „სქური“ | 14 | 4 | 1 | 9 | 15-34 | 12 |
| „იმერეთი“ | 14 | 3 | 3 | 8 | 13-32 | 12 |
| „კახეთი“ | 14 | 2 | 2 | 10 | 13-35 | 8 |
| „ადელი“ | 14 | 2 | 2 | 10 | 14-43 | 8 |
| „მერცხალი“ | 14 | 1 | 2 | 11 | 8-35 | 5 |

# საქმის ერთგული ადამიანი

## გივი ქლენტი



იგი რამდენიმე ათეული წლის განმავლობაში ერთგულად ემსახურებოდა ცხემლისხიდის საჯარო სკოლას. იყო სამეურნეო ნაწილის გამგე, საქმის ერთგული, იუმორით სავსე ადამიანი.

სკოლაზე უსაზღვროდ შეყვარებული სკოლის ინვენტარს და ტექნიკურ აღჭურვილობას სათუთად უვლიდა და ელოლიავებოდა.

მეგობრული, კომუნიკაბელური, მოსიყვარულე, კარგი ოჯახის თავკაცი, –ასე დაამახსოვრდება სოფელს და სკოლის კოლექტივს ბატონი გივი.

უფალმა სასუფეველში დაამკვიდროს მისი სული.

**ცხემლისხიდის საჯარო სკოლის კოლექტივი: მეცნიერებისა და განათლების პროფკავშირების ოზურგეთის ორგანიზაცია.**

სოფ. შრომის საჯარო სკოლის კოლექტივი იუწყება ამავე სკოლის ყოფილი პედაგოგის, ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის, ღირსების ორდენის კავალერის **ჯუმბერ დუნდუას** გარდაცვალებას და თანაუგრძნობს განსვენებულის ოჯახს.

გაზეთ „ალიონის“ რედაქცია იუწყება დიდი ქორეოგრაფის, ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის, მეგობრის **ჯუმბერ დუნდუას** გარდაცვალებას და თანაუგრძნობს განსვენებულის ოჯახს.


რედაქციის მისამართი: ქ. ოზურგეთი, გაბრიელ ეპისკოპოსის ქ.№1. ტელ: 558 499 100 გაზეთი რეგისტრირებულია ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში 18. 11. 2004 №44/4-311

რედაქტორი ნუგზარ ასათიანი
ელ. ფოსტა: nugzarasatiani@rambler.ru

კომპიუტერული უზრუნველყოფა გია გოგოლაძე